სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

27 ნოემბერი 2025

N 21/12054

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N12
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 13 ოქტომბრის NMOI-RD N 2-06/14133 სკოპინგის განცხადებით (სააგენტოში N10031) წარმოდგენილი დაგეგმილი საქმიანობის (ქ. თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1/E-60) თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 17-კმ 28 მონაკვეთის მშენებლობა და მოდერნიზაცია) სკოპინგის ანგარიში და გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო არეალის მნიშვნელოვანი ნაწილი ექცევა „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 03 აგვისტოს N411 დადგენილების (შემდგომ - N411 დადგენილება) N1 დანართით განსაზღვრულ მცხეთის მორატორიუმის ფარგლებში და ამავდროულად, მდებარეობს ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების კორექტირებულ საზღვრებში, კერძოდ განაშენიანების რეგულირების, ისტორიული ლანდშაფტის დაცვისა და წიწამურისა და ნარეკვავის არქეოლოგიური დაცვის ზონებში. ამასთან ერთად, საპროექტო არეალი ასევე „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის გაფართოებისა და მათი ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის N03/212 ბრძანების დანართით განსაზღვრული მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი „მცხეთის ისტორიული ძეგლების“ ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალშია (ბუფერული ზონა). ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყო N411 დადგენილებითა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები და აკრძალვები.

გარდა ამისა, N411 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული რეჟიმის მოქმედების პერიოდში ამ დადგენილებით დაშვებული ნებისმიერი ტიპის სამუშაოების დაგეგმვისას და მათ განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, უფლებამოსილმა ორგანოებმა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად უნდა იხელმძღვანელონ მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ იუნესკოს კონვენციისა და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებების (მათ შორის, 32 COM 7B.90; 33 COM 7B.102; 34 COM

7A.27; 36 COM 7A.31; 37 COM 7A.38; 38 COM 7A.17; 39 COM 7A.41; 40 COM 7A.29; 41 COM 7B.44; 41 COM 8B.44; 42 COM 7B.24) შესაბამისად.

ამასთან, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო არეალში განხორციელებული ზედაპირული არქეოლოგიური კვლევისას გამოკვეთილია არქეოლოგიურად სენსიტიური ადგილები, რომლებზე ზემოქმედების შესამცირებლად განსაზღვრულია დაგეგმილი სამუშაოების არქეოლოგის ზედამხედველობით წარმართვა. თუმცა, სკოპინგის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული ის, რომ **აღნიშნული არქეოლოგიური უბნების ნაწილი არქეოლოგიური დაცვის ზონას წარმოადგენს, სადაც გარდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა, ყველა სხვა სახის სამუშაოები აკრძალულია.**

ასევე, სკოპინგის ანგარიშის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ნაწილში აღნიშნულია, რომ პროექტი მოიაზრებს მცხეთის ჯვრის გორის ძირში გორის ფერდის გარკვეულ სახეცვლას (ჩამოჭრას), რაც დოკუმენტაციის თანახმად, ძეგლის მდგომარეობაზე ზემოქმედებას არ მოახდენს. **სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, იმის გათვალისწინებით, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარს და ზემოხსენებულ მთას მრავალი ხედვითი წერტილი და დერეფანი გააჩნია, მისი გარემოს ცვლილება (გორის ფერდის ჩამოჭრა) სააგენტოს დაუშვებლად მიაჩნია.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოპინგის ანგარიში საჭიროებს გადამუშავებას, ხოლო განახლებულ დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის) ამსახველი დოკუმენტაცია.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- სკოპინგის ანგარიშისა და საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი კვეთს სახელმწიფო ტყეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება, თუმცა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე ითქვა, რომ დაგეგმილია აღნიშნულ ტერიტორიების სახელმწიფო ტყიდან ამორიცხვა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება და ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებას საჭიროებს, **საქმიანობის განმახორციელებელმა სკოპინგის ანგარიშს უნდა დაურთოს ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ**;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია საპროექტო გზის დერეფნიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ აღნიშნულია, რომ „წინასწარი შეფასებით და დღემდე განხორციელებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე საპროექტო გვირაბები განთავსებულია მყარი ქანების მასივში“. ამასთან, ტექსტურ ნაწილში მითითებულია, რომ „გვირაბის განთავსების ადგილას დაფიქსირდა გეოლოგიური პროცესი, კერძოდ, განვითარებული მეწყერი გვირაბის დასაწყისთან, რომელიც ამჟამადაც მოძრავია. მშენებლობის დაწყებამდე დეტალურად იქნება შესწავლილი აღნიშნული მეწყერი და შესაბამისობა დადგინდება გვირაბის თაღსა და მეწყრის სრიალის ზედაპირს შორის.“ ზემოაღნიშნული ჩანაწერები საჭიროებს დაზუსტებას/განმარტებას, ხოლო საპროექტო

ტერიტორიაზე განვითარებული მეწყერისა და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით დასაბუთებული უნდა იქნას გვირაბის გაყვანის შერჩეული ალტერნატიული ვარიანტი;

- გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია გვირაბის გაყვანის ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ, შერჩეული ალტერნატივის საფუძვლიანი დასაბუთებით;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ვიზუალური დათვალიერებისა და საველე ასაგეგმი სამუშაოების დროს საკვლევ ტერიტორიაზე 15 ჭაბურღილი გაიყვანა". ამასთან, ტექსტურ ნაწილსა და დანართ N3-ში მითითებულია, რომ გაიბურღა 20 ჭაბურღილი. ზემოაღნიშნული ჩანაწერი დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებული ინფორმაცია საქართველოს „წითელი ნუსხით" დაცული სახეობების შესახებ არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ „საქართველოს წითელი ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით (შემდგომ - N190 დადგენილება) არსებულ მონაცემებს. მაგალითად, ანგარიშში „წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებად მიჩნეულია: მელა *(Vulpes vulpes)*, დედოფალა *(Mustela nivalis)*, მცირე თხუნელა (*Talpa levantis*) და ბუჩქნარის მემინდვრია *(Microtus major)*. შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია №190 დადგენილების მიხედვით;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის, განხილულია საავტომობილო გზის მონაკვეთი 1-ის (1.1, 1.3 და 1.4) და მონაკვეთი 2-ის (2.1, 2.3 და 2.7) ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, რომლებიც თითქმის იდენტურია. სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის ალტერნატივების შესახებ, შერჩეული ალტერნატივის უპირატესობის საფუძვლიანი დასაბუთებით, სადაც ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნებიც.

ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ააიპ „მწვანე ალტერნატივას" და ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები და შენიშვნები. მათ შორის, დაფიქსირებულ იქნა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით უარყოფითი განწყობა.

დამატებით, დანართის სახით გიგზავნით სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს N17/3894 წერილს, ასევე, ააიპ „მწვანე ალტერნატივას" და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სააგენტოში შემოსულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს. აქვე შეგახსენებთ, რომ სკოპინგის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია აღნიშნული მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, სააგენტოში წარმოადგინოთ წინამდებარე შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული დოკუმენტაცია. დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12054-21-2-202511271641

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE